№ 61
პარასკევი, 20 მარტი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

№ 61
პარასკევი, 20 მარტი, 1898 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

თ. ილია ჭავჭავაძის იუბილეის გამო ქართველთა ამხანაგობამ მოსახერხებლადა სცნო დააიფოს მის მიერ გამოცემული თხზულებანი

**თ. ი. გ. ჭავჭავაძისა,**

რათა ყველას მისცეს საშუალება მათი შეძენისა.

დაკლებულ ფასად გაიყიდება წიგნები მხოლოდ 12 აპრილამდე და შემდეგ-კი [illegible]

| | | |
|---|---|---|
| პირველი ტომი გაიყიდება | . | 70 კ. |
| მეორე „ „ | . | 60 „ |
| მესამე „ „ | . | 60 „ |
| მეოთხე (ორი წიგნია) | | 1 მან. 20 „ |

და ოთხივე ტომი ერთად 3 მანეთად.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ გაეგზავნებათ მხოლოდ მაშინ, თუ ფოსტის ხარჯს გამოუგზავნიან ამხანაგობას, I ტომზედ 16 კ., მეორეზედ 16 კ, მესამეზედ 16 კ. და მეოთხეზედ 24 კაპ.

წიგნები ამ ფასად მხოლოდ ამხანაგობის კიოსკში იყიდება.

ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, ალექსანდროვის ბაღის თავში.

(15—6.—10)

ქართული თეატრი

პარასკევს, 20 მარტს,

ქართულის დრამატიულის დასის არტისტების ქნ. ზ. ა. ავალიშვილის და ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

სუფლიორის სასარგებლოდ

წარმოდგენილი იქნება

**კ ი ნ ი**

ა ნ უ

გენიოსობა და სალახანობა

კომ. 5 მოქ. დიუმა-მამისა თარგ. ვალ. გუნიასი

მეხუთე მოქმედებად წარმოდგენილი იქნება

**„ჰამლეტი“**

სცენა „ყოფნა, თუ არ ყოფნა“.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ავალიშვილისა, კარგარეთლი, გამყრელიძისა, კუნდელი და გალუსტოვისა. ბ-ნნი ალექსი-მესხიშვილი, თ. დადიანი, გედევანოვი, კანდელაკი, ადამიძე, კორინთელი, წერეთელი, თამაზიშვილი და სხვ.

დასაწყისი 8 საათზედ

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

8 მარტს არ შემდგარი

**საერთო კრება**

ტფილისის სასოფლო-სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოების წევრთა დანიშნულია 22 **მარტისათვის** დილის 10 საათზედ ტფილისის სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკის სადგომში.

(2—6.—1)

ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების გამგეობა

აცხადებს, რომ ამა მარტის ოცდაცხრას დანიშნულია საზოგადოების წევრთა საერთო კრება, რომელსაც შემდეგი საქმეები აქვს გასარჩევად დანიშნული:

1. განხილვა და დამტკიცება 1897 წლის ანგარიშის და მონაგების განაწილებისა.

2. გასამრჯელოს დანიშვნა სამმართველოს მოხელეთათვის.

3. განხილვა და დამტკიცება 1898 წ. ხარჯთ-აღრიცხვისა.

4. განხილვა და გარდაწყვეტა იმისი, თუ რა მონაწილეობა უნდა მიიღოს საზოგადოებამ ტფილისის პოლიტეხნიკუმის დაარსების საქმეში.

და 5. არჩევანი წესდების თანახმად სამსახურის ვადის შესრულებისა გამო საბჭოს სამის დეპუტატისა, გამგეობის თავმჯდომარისა, სარევიზიო კომისიის წევრებისა და ამათის კანდიდატებისა.

(1—6.—1).

კვირას, 22 მარტს, დილის 10 საათისათვის დანიშნულია ს. კუხში წლიური ჩვეულებრივი კრება წევრთა **მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობისა ქუთაისის გუბერნიაში.**

საგნები კრებისა:

1) დამტკიცება წარსულის წლის ანგარიშისა.

2) განხილვა ამხანაგობის ახალის წესდებისა.

3) მოსაზრება, თუ როგორ დავეხმაროთ ადგილობრივი შალების გასაღების საქმეს და სხვა.

(2—55—1)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ა. პ. კარაპეტიანცი**. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო**. დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ა. მ. ბუდაღოვი**. 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკ[illegible] შარდს, ნახველს, სისხლს, [illegible]

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

## ახალი ამბავი

⁂ გავახსენებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, 20 მარტს, ქართულს თეატრში ქართულის დრამატიულის დასის მიერ წარმოდგენა იქმნება გამართული სუფლიორის ნ. გალუსტოვის სასარგებლოდ. ითამაშებენ დიუმა-მამის პიესას „კინს“ და ჰამლეტის ერთს მოქმედებას. ამ წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნი ავალიშვილისა და ბ-ნი მესხიშვილი, რომელიც ამ წელს პირველად თამაშობს ტფილისის სცენაზედ.

⁂ ექსარხოსის მოედნის მახლობლად მცხოვრებთა სურვილისამებრ მე-V ნაწილის ბოქაული სთხოვს პოლიცმეისტერს იშუამდგომლეთ ქალაქის საბჭოს წინაშე, რომ ამ მოედანზედ პატარა ბაღი იქმნას გაშენებული და საქართველოს მეფის ერეკლე II-ის სახსოვრად ამ მეფის სახელი დაერქვასო.

⁂ ტფილისის მოქალაქეთა გამგეობაში ისეთი უწესოება ჰსუფევს, რომ თანამდებობის მქონე კაცთა არჩევანი 1895 წლიდგან არ მომხდარა. ეხლა ბ-ნმა ტფილისის გუბერნატორმა ძალა დაატანა და 24 მარტისათვის დანიშნულია არჩევანები დეპუტატებისა ქართულს თეატრში. დეპუტატების ამორჩევის შემდეგ თვით მოქალაქეთა მამასახლისიც იქნება ამორჩეული. საგუბერნიო ადმინისტრაციის მხრივ არჩევანებზედ დასასწრებლად დანიშნულია თავ. ბებუთოვი.

⁂ ოთხშაბათს, 18 მარტს, თამამშევის ქარვასლაში იქაურმა ვაჭრებმა დიდი შეურაცხება მიაყენეს ერთ ვიღაც მანდილოსანს. მოვაჭრეები აბრეშუმის ნაჭერის მოპარვას აბრალებდნენ, შემოეხვივნენ ამ ქალს, მერე ლანძღვა-გინებით მთელი ქარვასლა შემოატარეს და ყვირილითა და სტვენით გამოისტუმრეს. ნუთუ ბოლო არ უნდა მოეღოს ქარვასლის ვაჟბატონების ალვირ-წახსნილობას. თუ ამ მანდილოსანმა მოჰპარა რამ, განა არ შეეძლოთ სამართლისათვის მიემართნათ და არა ლანძღვა-გინებით ქარვასლაში ეტარებინათ სხვათა სასაცილოდ და საკიცხებლად.

⁂ გუშინ, 19 მარტს, გუბერნიის [illegible] ტფილისის ქალაქის მოურავს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ დააარსა ტფილისში ცალკე თანამდებობა მთავრობის ბეითალისა და ამ თანამდებობაზედ დანიშნულ იქმნა ტ. გ. ბოლოტოვიო. ამ ბეითალმა თვალ ყური უნდა ადევნოს იმ საქონელს, რომელსაც რკინის გზით ან სხვა რომელისამე გზით გაატარებენ ტფილისზედაო.

⁂ ქუთაისისა და შორაპნის მაზრის ახალსოფელისა, ცუცხვათისა, ჩხარისა და სხვა ახლო-მახლო მდებარე სოფლების მცხოვრებელთ მიჰმართეს ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას და სთხოვეს, რომ ტყიბულის შტოზედ სოფ. ახალსოფელთან სახალხო მატარებლების ბაქანი იქმნას დაწესებულიო.

⁂ როგორც ვუწყით, აზრადა აქვთ შემოიღონ ჩვენს ქვეყანაში რუსეთის შიდა გუბერნიებში აწ არსებული კანონი ჰირიანის საქონლის დახოცვის შესახებ. რადგანაც ეს საგანი მეტად საყურადღებოა, კავკასიის საიმპერატორო-სამეურნეო საზოგადოება გამართავს 15 აპრილიდგან რამდენსამე მოლაპარაკებას ამ საგნის შესახებ. ამისათვის ხსენებულმა საზოგადოებამ სთხოვა ტფილისის გუბერნატორს ნება მიეცით სამაზრო ბეითლებს ამ მოლაპარაკებაზედ დაესწრენო. გუშინ, 10 მარტს, ტფილისის გუბერნატორმა ნება დართო ყველა კრებას დაესწრნენ ბეითლები იმ პირობით-კი, თუ სამსახური ხელს არ შეუშლის და ამ დროს რაიმე საქმე არ ექმნებათ.

⁂ 27 მარტს ტფილისის ოლქის სასამართლოში გარჩეულ იქმნება საქმე გაზ. „ტფილისის ფურცლის“ რედაქტორის დროებით თანამდებობის აღმასრულებელის ი. გ. ხეჩატუროვისა, რომელსაც ცნობილი „ლოთების მკურნალი“ მიხ. ალავერდოვი ბრალსა სდებს, გაზეთის შემწეობით ცილი დამწამაო.

⁂ გორის მაზრის მემამულემ ვ. ა. კალატოზიშვილმა მიჰმართა გზათა მინისტრს თავ. ხილკოვს და სთხოვა, რომ სადგურებს გომისა და ქარელის შუა საქონლის ბაქანი იქმნას დაარსებული ისე, რომ სახალხო და საქონლის მატარებლებიც გაჩერდებოდნენ. ამასთან ბ-ნი კალატოზიშვილი ჰპირდება, რომ თუ ბაქანი ჩემს ადგილზედ იქმნება გაკეთებული, საჭირო მიწას უფასოდ დავუთმობო. ეს შუამდგომლობა ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას გარდაეცა განსახილველად.

⁂ კვირას, 22 მარტს, დღის 12½ საათზედ, კავკასიის საბრეშუმო სადგურის დარბაზში გამართულ იქმნება მეექვსე საუბარი მეფუტკრეობის [illegible] სკებით თაფლის მოგროვებისა, გასყიდვისა და თაფლის შემუშავების შესახებ.

⁂ ახალის ბრძანების ძალით, რკინის გზებზედ იმ მოსამსახურეთ, რომელთაც 1,200 მანეთზედ მეტი ჯამაგირი ეძლევათ, ნება არა აქვთ მიიწვიონ უფასოდ რკინის გზის ექიმი და მიიღონ წამალი რკინის გზის აფთიაქებიდგან. ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი ბ-ნი ველენეევი, გაზ. „კავკასიის“ სიტყვით, ეხლა შუამდგომლობს სახელმწიფო რკინის გზათა თავმჯდომარეს წინაშე, რომ ეს ბრძანება შეეხოს მხოლოდ იმათ, ვინც ახლად შევა სამსახურში რკინის გზაზედ, ხოლო იმათ, ვინც ამ ბრძანების გამოცემამდე ჰმსახურებდა ნება მიეცეთ ისევ ისევე ისარგებლონ რკინის გზის ექიმებისა და წამლებით, როგორც აქამდის სარგებლობდნენ.

⁂ ქ. ტფილისში 1897 წლის განმავლობაში გარდაცვლილა 3,779 სული, რაც ორთა შუა რიცხვით დღეში 11 კაცი მოდის. I ნაწილში გარდაცვლილა 431 სული; მეორე ნაწილში—25; მე-III ნაწილში—280 სული;—მე-IV ნაწილში—43 სული, მე-V ნაწილში—564 სული; მე-VI ნაწ.—141 სული; მე-VII ნაწ.—753; მე-VIII ნაწ.—149; მე-IX ნაწ.—1,122 და მე X ნაწ.—271 სული; ამ გვარად ყველაზედ მეტი გარდაცვლილა მე IX, VII, V და III ნაწილებში, სწორედ იმ უბნებში, რომლებიც მეტის მეტადაა დასახლებული და უფრო უსუფთაოებია.

⁂ გაზ. „ახალი მიმ.“ სიტყვით, რადგანაც ავაზაკობა არ ისპობა, ამიერ-კავკასიის რამდენმამე სოფლის საზოგადოებამ ერთობილის თხოვნით მიჰმართეს კავკასიის უმაღლეს მთავრობას იმის შესახებ, რომ იარაღი დაგვირიგეთო. ამასთან ზოგიერთ საზოგადოებას აზრადა აქვს დარაჯობა დააწესონ.

⁂ იმავე გაზეთს სწერენ სოხუმიდგან, რომ 22 მარტს ადგილობრივ კლუბში, თავადის ქალის ა. ვ. წერეთლის მეთაურობით, სცენის მოყვარეთა მიერ გამართული იქმნება წარმოდგენა ქართულსა და რუსულს ენაზედ. შემოსავალი დანიშნულია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდაო“.

⁂ კაკკაკი. კავკავში კაცის კვლა და ქურდობა ძალიან გახშირებულია. თებერვლის თვეში ერთი ჯა-

რის კაცი „სლაბოდკა“-ში მოკლეს და ერთიც ხიდ გაღმა, ბარე ხუთი ექვსი დუქანი და სახლებიც გასძარცვეს, ნაქურდალი საქონელი ქიზიყის სოფლებში აღმოაჩინეს...

კავკავში ყვავილი და ყელ-ჭირვება არის გავრცელებული. სასულიერო სასწავლებელში მოსწავლეებს ყველას აუცრეს ყვავილი.

კავკავის ქართველობას აქაურმა ეპისკოპოსმა ყოვლად უსამღვდელოესმა ვლადიმირმა მეორე და მესამე კვირას ამა დიდ-მარხვისას, თავისის კარის ეკკლესია დაუთმო საზიარებლად, მათმა მეუფებამ ქართულად მღვდელ მოქმედების ასასრულებლად მოიწვია სანების სამრევლოს მღვდელი ნეს. ბაკურაძე. ოთხშაბათს და პარასკევს მეორე კვირაში პირველ მეწირულის წირვა ნახევარი რუსულად შესრულდა და ნახევარი ქართულად. ქართულად ჰგალობდენ აქაურის ქართულის სასწავლებლის მოსწავლენი ლ. ბოცვაძის ლოტბარობით. დიდის მადლობის ღირსნი არიან კავკავის ქართველ საზოგადოების მეთაურნი, რომელნიც დიდის გულ მოდგინებით შეუდგენ ეკკლესიის აშენების საქმეს, ეკკლესიის სასარგებლოდ შემოწირული აგურების ზიდვა კიდეც დაიწყეს სასწავლებლის ეზოში. ჯერ-ჯერობით შემოწირული აგური 3,000-მდეა... იმედია, აპრილისთვეში მიჰყოფენ ხელს ეკკლესიის შენებას.

⁂ სოფ. მუხრანი. ამ ორი კვირის წინად ამ სოფელს ეწვია ვილაც გაიძვერა გორელი მკითხავი ალექსა, რომელმაც გურგენაშვილებს უთხრა, რომ თქვენ მამულში ხაზინაა და თუ გასამრჯელოს მომცემთ, გიჩვენებთ ადგილს, საიდგანაც ოქრო-ვერცხლით სავსე ქვაბები შეგიძლიანთ ამოიღოთო. გურგენაშვილებმაც დაუჯერეს და 21 მანათი მისცეს; დიდხანსა სთხარეს, საცა მკითხავმა უჩვენა, მაგრამ რაც არ იყო, რას იპოვნიდნენ.

⁂ ამ დღეებში რკინის გზის სადგურზედ ვილაც მაწანწალებმა მოატყუეს დ გაძარცვეს გორის მაზრიდგან ახლად ჩამოსული გლეხ-კაცი. როდესაც მატარებლიდგან გადმოსულა, არ სცოდნია საით წასულიყო და იქვე მდგომ ერთის კინტოსთვის უკითხავს, რომ საითაა გზა ავლაბრისაკენაო, კინტოს უთქვამს, რომ მე გამოგყვები ავლაბრამდის და ნათესავს გიჩვენებო. წაუყვანია დიდუბისკენ და აქ ორის სხვა ამხანაგით წაურთმევიათ ხურჯინი, კარგად უცემიათ და ისე გაუსტუმრებიათ.

⁂ 18 მარტს, საღამოს 10 საათზედ, მე-9 ნაწილში ავჭალის ქუჩაზედ, პოლიციელმა ახლად დაბადებული მიგდებული ბავშვი იპოვა, რომელიც საზებით ინსტიტუტში იქმნა გაგზავნილი ასაზრდელად.

⁂ 19 მარტს, დილის 8 საათზედ, მე-9 პოლიციის ბოქაულს გამოუცხადა ბართლომე ვარდიაშვილმა, რომ წუხელის ვილაც ბოროტ-განმზრახველთ გასტეხეს ჩემი სარდაფი, რომელიც ფრანგებისა და ანდრეევის ქუჩების კუთხეშია ისარლოვის სახლებში და წაიღეს 40 მან. ფული და 25 მან. სხვა და-სხვა ვერცხლეულობა და ტანისამოსიო. პოლიცია ქურდებს დაეძებს.

---

## წერილი ქუთაისიდგან

16 მარტი

კვირას, 15 მარტს, ქუთაისის ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ პატივცემულ კნ. ც. ნ. ერისთვის თაოსნობით გაიმართა მუსიკალურ-ლიტერატურული საღამო ცოცხალის სურათებით ოთხ განყოფილებად. უნდა მოგახსენოთ, რომ ასე ხელოვნურად შედგენილი საღამო ქუთაისის საზოგადოებას კარგა ხანია არ უნახავს. თვითოეული განყოფილება ცალკე ისე კარგი იყო, რომ არ იცი, რომელი რომელს ამჯობინო. საღამო დაიწყო აკაკის მხიარულის ვოდევილით „ბუტიაობა“, ამას მოჰყვა გალობა ხოროსი ბ-ნ კორ. მაღრაძის ლოტბარობით. მომღერალნი მორთულნი იყვნენ მშვენიერის ქულაჯებით. ხორომ ტკბილად და შნოიანად იმღერა ექვსი საგალობელი. გვსურს, მცირედი შენიშვნა მივცეთ საზოგადოთ ჩვენებურ მომღერალთ, რომელნიც ხოროებს ხელმძღვანელობენ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართული საერო სიმ[illegible] გაბედული და ვაჟკაცური სიმღერებია და არა განაზებული, ნემსის ყუნწში გატარებული და სუსტი. ეს ნაკლი მარტო ბ ნ მაღრაძის ნაკლი არ არის, იგი შევნიშნეთ ჩვენ ბ ნ კავსაძის ხოროსაც; ამის შესახებ სიტყვას არ განვაგრძობთ, ამის გარჩევა სპეციალისტებისთვის მიგვინდვია, ვიტყვით მხოლოდ, რომ ბ-ნ მაღრაძის გალობამ მაინც დიდად გვასიამოვნა და მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის.

შემდეგ სცენაზედ თამამად გამოვიდა ბ-ნი ნ. ზ. ბადრიძე და წაიკითხა ღრმა აზრიანი ლექსი თ. ვ. ორბელიანისა „იმედი“. კითხვა სასიამოვნო მოსასმენი იყო: ბ ნ ბადრიძე კითხულობდა აღელვებით და ეს აღელვება მეტად უხდებოდა და ამშვენებდა კითხვას, რადგან იგი შინაარსის შესაფერი და მოსაწონი იყო; მეტადრე ბოლო ამ ლექსისა ისეთის ნაზის გრძნობით იყო წაკითხული, რომ ცრემლს ვერ შეიკავებდა კაცი. კარგი იქმნება, რომ ბ ნი ბადრიძე ხშირად გაგვაგონებდეს სცენიდგან ქართულს ლექსებს. თ. მამია გურიელის შემდეგ ქართულის ლექსების მოხდენილი კითხვა არავისგან არ გაგვიგონია. მშვენივრად წაიკითხა აგრეთვე რუსული ლექსი „Впередъ“ ბ-ნმა ი.მეუნარგიამ. სცენაზედ გამოჩნდა ბ-ნი დ. მესხი, რომელმაც წაიკითხა მეტად მოსწრებული და ახლანდელის უსაქმურ ვაჟბატონების შესახები სცენები; ეს სცენები ისეთის კილოთი და სახის გამომეტყველებით იყო ნათქვამი, რომ მთელი თეატრი სიცილს ვერ იკავებდა.

ცუდი არ იყო აგრეთვე სამუ[illegible]ვის თაოსნობით გამართული. მაგრამ სული და გული საღამოსი იყო ცოცხალი სურათები. ცოცხალის სურათების დადგმაში მონაწილეობა მიიღო ქუთაისის უმშვენიერეს ალსა და კაცს. პირველი სურათი წარმოადგენდა ებრაელთა დევნას საშუალო საუკუნოებში, მეორე—პომპეის გამარჯვებას, მესამე—სერენადას სისხლით შემწიკლულს, მეოთხე—ინკვიზიციის მსხვერპლს, მეხუთე—„დავარი ჰგზავნის ნესტან-დარეჯანს ქაჯეთის ციხეში“, მეექვსე—„რუსთაველი უძღვნის თამარ მეფეს „ვეფხვის ტყაოსანს“. ცოცხალი სურათები დადგმული იყო ჩვენის საყვარელის და უნიჭიერეს არტისტის ალექსი-მესხიშვილის ხელმძღვანელობით. ზიჩის შემდეგ ცოცხალი სურათები ასეთის გემოვნებით სხვას არავის გაუმართავს აქ. ხალხი დიდად ნასიამოვნები ღამის პირველის ნახევარ საათზე დაიშალა. შემოსავალი ექვსას მანეთამდის ავიდა. ხარჯს გარდა წმინდა შემოსავალი დარჩა 400 მანეთი.

დიდის მადლობის ღირსია პატივცემული კნ. ც. ნ. ერისთავისა, რომელმაც ასე საუცხოვოდ შეუკავშირა სასიამოვნო დროს გატარება სასარგებლო და სასახელო საქმეს.

მ—ი

---

## წერილი ოსეთიდგან

ამ წლის იანვრის პირველ რიცხვებში, სოფელ თმენიყავში მცხოვრებელის ცარახოვის ძროხამ ორ თავიანი ხბო მოიგო. პატრონს ძლიერ შეჰშინებოდა, რადგანაც, ოსების აზრით, ეს რაღაც უბედურებას მოასწავებს, ან რაღაც ეშმაკეულის მოვლენით ოჯახი დაიღუპებაო და სოფელსაც კარგი არ დაემართებაო. საბრალო ხბო თურმე ფეხზედ წამოდგებოდა ხოლმე და ხან ერთი ტუჩით დაიბღავლებდა ხან მეორით. გულ გახეთქილს პატრონს გაეტანა ცოცხალი პარუტყვი და მყეფრებისთვის გადაეგდო. ამ ამბისთვის ყური მოეკრა იმისს მეზობელს ყმაწვილ-კაცს, რომელსაც ცოტაოდენი ქვეყნიერებისა ესმის. გაქცეულიყო და მყეფრებისთვის მარტო თავიდა წაერთმია, რომელიც ამ სტრიქონების დამწერმა ჩემის თვალითა ვნახე. თავს ოთხი ყბა აქვს ერთმანეთზედ გადაბმული და ორი ტუჩი აქეთ-იქით გაშვერილი. შუბლი ცოტა ჩაზნექილია, ოთხი თვალი აქვს და სამი ყური, ყანყრატოკი ერთი. სწორეთ სკვირველი სანახავია და, რასაკვირველია, უფრო საკვირველი იქმნებოდა, ტანიც რომ ზედ შერჩენოდა.

---

# ფელეტონი

### მამაპაპათა ანდერძი

(20 მარტი, 1622 წ.)

მცირე ხანს უკუნვიქცეთ და მივიდეთ ვიდრე 20 მარტამდე 1622 წლისა. აგერ სპარსეთის ქალაქი შირაზი და მისი მაგარი ციხე-საპატიმრო, ვინ იცის რა მოსაზრებით, წოდებული გულაბყალად, რომელიც ითარგმნების ვარდის წყლის ციხედ (გულ+აბ+ყალა).

გულაბყალას ეზოსა და კარიპირზედ ვხედავთ მოლებს, ჯალათებს და მაყურებლებს.

ჯალათთა უფროსის ბრძანებით აღებენ საპატიმროს ერთ შავ-ბნელ ჯურღმულს და გამოჰყავთ ვინმე ჭაბუკი, გამხდარ-გაყვითლებული, გარნა მხნე და ახოვანი. ჭაბუკი მოჰყავთ ჯალათთა უფროსის წინაშე.

ჯალათთა უფროსი. ჭაბუკო, შეიწყალე სიჭაბუკე და შუენიერება შენი და ნუ ურჩ ექმნები ბრძანებასა ხელმწიფისა ჩემისასა; უკეთუ არა ერჩდე ბრძანებასა მისსა, მწარითა სიკუდილითა მოგაკუდინოს შენ.

ჭაბუკი. უკეთუ ყოველი ქუეყანაჲ ჩემდა იყოს, არა თავს ვიდვა სიტყუათა და ქადებათა შენთა მორჩილებაჲ. რაჲ გნებავს ყოფად ჩემდა, ჰყავთ, და აღასრულეთ ბრძანებაჲ მისი.

ჯალათნი, მოლანი და მაყურებელნი აღელდნენ და „ძაღლებრ გარემოადგეს ჭაბუკს და იღრჭენდეს კბილთა თვისთა“.

ჭაბუკი მიხვდა, რომ ამავ წამს მოჰკლავდნენ, გარნა იგი არ შეუშინდა. სახე გაუბრწყინდა მას, მაღალი და მოხდენილი ტანი სვეტივით აღიმართა, დადგა მათ წინაშე ვითარცა კლდე-ანდამატი, მტკიცედ და შეურყევლად, და მოახსენათ:

— მაცადეთ, ვილოცო უფლისა მიმართ და ღუთისა ჩემისა და მერე აღასრულეთ ბრძანებული მის უსჯულოჲსა.

ჯალათთა უფროსმა ლოცვის ნება მისცა.

„ჰ დედოფალო ღვთის მშობელო,—ილოცა ჭაბუკი წინაშე ღვთის მშობლის ხატისა, რომელიც მუდამ თანა-ჰყვა,—შენდამი დამიც სასოებაჲ ჩემი, შენ ხარ ნუგეშინის მცემელი ჩემი, შენ მომეც შეწევნა წამებისა ამის ჩემისა და შემრთე წმიდათა მოწამეთა შენთა თანა, რათა მეცა ვადიდებდე მამასა და ძესა და წმიდასა სულსა“...

ჯალათებმა აღარ დაასრულებინეს ლოცვა, შვილდის საბლის მუხრუჭი ყელზედ მოსდეს და მოაშთვეს წმიდა მლოცველი.

—

1586 წელს სპარსეთის ხელმწიფედ შეიქმნა შაჰ-აბაზ პირველი. იგი საქართველოს შესახებ იმავე გზა-კვალს დაადგა, რომელზედაც ვლიდნენ წინანდელნი ყაენნი. საქართველოს დამონება მათი წადილი იყო, ხოლო ქრისტიანობის მაჰმადიანობაზედ გადაცვლა—ხერხი ამ წადილის აღსრულებისათვის. გარნა შაჰ-აბაზი ყველა ყაენებზე უუსასტიკესი ჯალათი იყო ქართველთა გვარ-მოდგმისათვის და ამ ჯალათმა ისე დაასუსტა საქართველო, რომ მის შემდეგ ჩვენი ქვეყანა წელში ვეღარ გაიმართა და ვეღარ შეერთდ-შეკავშირდა.

ჯერ არასდროს საქართველოს არ ენახა იმდენი წამებულნი, რაოდენიც აწამა ულმობელმა შაჰ-აბაზმა.

ჯერ არასდროს საქართველო ისე არ აღეოხრებინა მტერს, როგორც აღაოხრა ამ ბარბაროსმა.

სპარსთავე ისტორიკოსი ისკანდერ მუნჯი ამბობს: „მაჰმადიანობას არასოდეს ისე არ შეუმუსრავს ხალხი, როგორც შემუსრა შაჰაბაზმა კახელები. რიცხვი გაჟლეტილთა იყო 60—70 ათასამდე, დატყვევებულ იქმნა 100,000-ზედაც მეტი ქალწულნი, ყრმანი, დედაკაცნი, მამაკაცნი და ყველა ესენი ყაენმა საუკუნოდ გადაასახლა სპარსეთს. ამას გარდა კიდევ 30,000 კაცის შესახებ ცნობა ვერ იქმნა შეკრებილი. რუისსურამიდგან დატყვევებულ იქმნა 500-ზედაც მეტი კაცი დ 2000 პირუტყვი, ერწო-თიანელთ დაჰკარგეს 40000 ცხვარი. მარაბდის ომში (1623 წ.) მოკლულ იქმნა 10,000 ქართველი, არაგვის პირზე 400 და სულ-კი 240,000-მდე ქართველი მარტო შაჰ-აბაზის ყაენობამ ჩაყლაპა.

შესანიშნავი ის არის, რომ ამდენ ხალხთან ერთად შაჰ-აბაზ ბარბაროსმა სიცოცხლე მოუსპო საქართველოს რამდენსამე მეფეს, ერთს დედოფალს და ორს ბატონიშვილს და რამდენიმე ბატონიშვილნიც გაამაჰმადიანა და წარწყმიდა. სახელდობრ:

1603 წ. კახთა მეფის ძემ დავითმა, ყაენის ჩაგონებით, შეიპყრა თვისი ძმა გიორგი და მამა ალექსანდრე და დაამწყვდია, ხოლო მათნი 12-ნი მომხრენი ჭოეთის ციხიდამ გადმოჰყარა. იგი გამეფდა, გარნა იმავე წელს მოკვდა (ალბად მოჰკლეს).

1605 წელს ყაენის ბრძანებით სპარსთა ჯარით მოვიდა კახეთს გამაჰმადიანებული კოსტანტინე, ძე კახთა მეფის ალექსანდრესი, და მოჰკლა თვისი მამა და ძმა გიორგი. და მოინდომა შეერთო თვისი რძალი ქეთევანი, მეუღლე ზემორე ხსენებულის დავითისა და დედა თეიმურაზ პირველისა. გარნა კახთ მოჰკლეს ყაენის მიერ გაწბილებული კოსტანტინე.

ამავე ხანებში (1601 წლიდგან) ყაენმა წაართო ქართლის მეფეს ლუარსაბ-ბერდუჯი და კახეთისას კაკ-ელისენი (საინგილო).

1605 წელს ყაენმა მოაწამლვინა (მაჰმადიანობის მიუღებლობისათვის) ქართლის მეფე გიორგი, მამა ლუარსაბ II-ისა. ამის შესახებ სომხის მწერალი არაქელი ამბობს: „შაჰ-აბაზი იყო გვლარძნილი, გრძნეულებითა და ეშმაკობისა ხელოვნებითა გიორგი მეფეს მოუმზადა სასიკვდინე სასმელი“.

1605 წელს შაჰაბზმა „მისტაცა ლუარსაბ მეფეს უმრწემესი დაჲ და წარწყმიდა“. ეს იყო თინათინი და იგივ ელენე, რომელიც საცოლედ უნდოდა რუსთა ხელმწიფეს ბორისს თავის შვილის თეოდორესთვის (იხ. საქართ. ისტ., გვ. 276).

1615—1616 წ. ყაენმა შეიპყრა დედოფალი ქეთევანი, ბატონიშვილი ალექსანდრე და ლევანი და აგრეთვე მეფე ლუარსაბ მეორე და ესენი შირაზის გულაბყალას ციხეში ჩაყარა. ჯერ ისევ ყრმა ბატონიშვილები ყაენმა გამოასაჭურისნა 1620 წელს. ეს უდიერი ტანჯვა ვერ აიტანა ბატონიშვილმა ალექსანდრემ და მოკვდა, ხოლო ლევანი გაგიჟდა და მალე იგიც დაიღუპა. ქეთევან დედოფალი აწამა ყაენმა 1724 წ. 13 სექტემბერს, ხოლო მეფე ლუარსაბი 1622 წელს 20 მარტს, სწორედ იმ დღეს, რა დღესაც არაბთა მიერ მოკლულ იქმნა არჩილ მეორე (718 წ.).

აი ამ უდიერმა ყაენმა დასდო პირველი და „მტკიცე“ საფუძველი იმ შენობისა, რომელიც დასრულდა ბაგრატიონების ხელმწიფობის მოსპობით.

ყაენმა არა თუ ძირიანად შეასუსტა ამერეთი ხალხის გაჟლეტითა თუ გადასახლებით და ანუ პროვინციების წაგლეჯით, არამედ იმითიც, რომ ჩვენს ქვეყანას გადაჰკიდა ლეკნი, ადირბეჟანის თათარნი, კახეთის მმართველებად დაადგინა გაუნათლებელნი და უვიცნი ხანები, რომელთაგანს ერთს (ფეიქარხანს) შეჰრთო ბაგრატ ბატონიშვილის დაჲ ლელა.

ამას გარდა თავის სატახტო ქალაქში ყაენმა გააჩინა მთელი რაზმი, რომელიც შესდგებოდა განსაკუთრებით ქართველთა ტყვეთაგან და ამ რაზმის მოთავედ დაადგინა ხოსრო მირზა (შემდეგ როსტომ მეფე), ქართველივე ბატონიშვილი.

ამ გვარს, საქართველოსთვის ფრიად საზარალო, გზა-კვალს ადგა ყაე-

სოფ. ყადგარონში ერთს დედა-კაცს იანვრის ექვსსა თუ შვიდში გაუჩნდა ხუთი შვილი ერთად სამი ვაჟი და ორი ქალი. ბავშვები ყოვ-ლაფრით სრულნი იყნენ, მაგრამ იმავე დღესვე გარდაიცვალნენ. ბავ-შვების დედა ჯან-მრთელად არის, თითქმის ორმოც-და-ხუთ წლისა იქნება.

ჩვენსკენ საშინელი ცივი და თოვლიანი ზამთარია. ოსებში ახლა სულ იმას გაიძახიან, რომ ამისთანა უ?ედური ამბები არსად მომხდარა და არც გაგონილა და ამისი მიზეზი, რომ ასეთი საშინელი ზამთა-რია წელსაო. თებერვა[illegible]ი გავიდა, მაგრამ მაინც სითბო არსადა სჩანს, საქონლის საკვები-კი აღარავისა -ქვს. ოსების [illegible], ქ-ენთრუშა და ყბაყურა არის გავრ-ცელებული, პირველი სენი ძალიან აზარალებს ბავშვებს.

პირველ დიდ-მარხვის კვირაში სოფ. სანების მღვდელმა შეჰკრიბა ორი სოფელი თმენიყაველები ერთ სახლში ?ამზადებდა საზიარებლად. ოთხშაბათს დღეს, როცა შუადღის ლოცვაზედ იდგნენ (ქვეშ სხვა შენობა იყო, შუაში ხალხი იდგა და ზ[illegible]ვიდგან დახურული იყო მიწით), ჩაინგრა ნახევარი მხარე შენობის ბანისა და ჩაცვივდა სამოცამდე სული პატარა ბავშვები და მანდილოსნები. ასტყდა საშინელი ყვირილ-წივილი, ჩაეშვე-ლა საჩქაროდ ხალხი და ყველანი უვნებლად ამოიყვანეს, მოძღვარმა ისევ შემოიკრიბა ხალხი, ლოცვა გა-ათავა და გრძნობით სავსე სიტყვა უთხრა ხალხს ამ სასწაულის გამო.

თებერვლის შუა რიცხვებში, ბეს-ლანის რკინის გზის სადგურზედ ერ-თი ამბავი მოხდა: სიმინდის მყიდ-ველს, გვარად კლებენსონს ნაშუა-ღამევს მიუცვივდნენ ექვსი ბერდა-ნიანი ავაზაკები. კლებენსონმა მალე გაუგო, გამოვიდა დერეფანში და ლევორვერი დასცალა. ავაზაკებმა ოთხივ მხრიდგან დაუშინეს ბერდა-ნები. თოფის ხმაზედ გამოცვივდნენ ჟანდარმი და სადგურის დარაჯები, მაგრამ იმათაც ექვსჯერ ესროლეს ავაზაკებმა თოფები, მოასხდენ ცხე-ნებს და გაიქცნენ. კლებენსონის ცოლს, მძინარეს, სწორედ ორის გოჯით ასცდა ტყვია. საბრალო დე-დაკაცი შიშით ლოგინად ჩავარდა და ველარ ამდგარა, მორჩენის იმედი აღარა აქვთ.

ქართველი ოსებში

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ს. შილდა**, (თელავის მაზრა), 5 მარტი. მთელი სოფელი, 4,000 სუ-ლი, დიდი და პატარა, ახლაც და ამ-ჟამადაც ერთმა მეტად სამწუხარო ამ-ბავმა, რომლის მსგავსი შილდელებს არ ახსოვთ. რა იყო, რა მოხდა იმის-თანა, რამ ჭმუნვის ზღვასავით ამო-დენა ხალხი. ს. შილდის მკვიდრად ითვლებოდა ერთი ახალგაზდა მაქარა-შვილი, ხალხში „ერთოდ“ წოდებული, კარგის მამულის და ეზო-ყურის პატ-რონი. ერთი პატარა დარჩა ობლად და მისი მამულ-დედული ნათესავებისა და სოფლის კაცი ჭამია, ოინბაზ-მზრუ-ნველების ხელში გადავიდა. როცა ერ-თი დაკაცკაცდა, თავისის მამულების დაბრუნება მოითხოვა, მაგრამ თელა-ვის გაქნილ „აბლაკატ-ადვოკატების“ მეოხება ჩაგონებით ერთის მამულების დავა გამოუცხადეს ნათესავებმა. ერთმა საუცხოვო საქზოვე შეაჭრა, მერმე გენახი წაართვა, მესამე დავის ფულში სახლი დაინარჩუნა და ყოველ ამის ნა-ფასური თელავის კაკთ-მოყვარე „ადვო-კატებმა“ შთანთქეს. ერთომ, რომ მო-მხრე ჭყოლოდა, შეირთო აქაურივე ობოლი ქალი, რომლის უფროსი და ცოლად ჰყავდა ს. გაჩნამიანურს ახალ-გაზდავე მოჭიდავე გლეხს, „გორდი-შელს“, ორივე გლეხნი მამულზედ შე-ვიდნენ ზედ-სიძედ, ვიდრე მამულების დაბრუნების იმედი ჰქონდათ, ქვისლე-ბის ცხოვრება თითქმის ტკბილად მი-დიოდა, მაგრამ ერთის ბედმა აქაც უმ-ტყუნა და ქვისლი „გორდიშელი“ გა-უდგა. დასასრულ, ერთის ცოლს გორ-დიშელმა გული შეუცვალა, რომელთა-ნაც სიყვარულის კავშირი დაიჭირა!.. ამ დღიდგან ერთის [illegible] ხელი მოიქცა. მამულ-დედულ დაკარ-გვილს ერთად-ერთი ნუგეში და იმედი ოჯახის მეუღლეობა—ცოლიც-კი წაარ-თვეს, გორდიშელიც კარგად ჰგრძნობ-და, რომ ერთო რაღაც მეტ ბარგად გამხდარიყო იმისთვის და გულში ჩაი-დო მისი მოსპობა-მოშორება.

ხორციელის აღებ-ღამეს, როცა სა-ცოდავი ერთო ნავახშმევი თავისს ცო-ლთან იწვა ქვისლთანვე ერთს ოთახში, „გორდიშელი“ წამოდგა, აიღო ნაჯა-ხი და საცოდავი გლეხის-ბიჭი ერთის დაკვრით თავის ქალაში წუთისოფელს გამოასალმა, ასე რომ, როგორც თი-თონ გამოტყდა, ხმაც ვეღარ ამოიღო! მოკლულის დამალვა უნდოდა და დამა-ლა კიდეც ავაზაკობას და არამზადობას ჩვეულმა გორდიშელმა. დაიკარგა კაცი, მთელს თვეს არავინ იცოდა, ცამ ჩაყ-ლაპა თუ მიწამ უყო პირი, მაგრამ ად-გილობრივის ბოქაულის ბ-ნ გომელა-ურის გამოცდილსა და დიდად დახელო-ვნებულს ამისთანა საქმეებში ნიჭს ვერ-სად წაუვიდა ავაზაკი გორდიშელი. ბ-ნმა გომელაურმა გორდიშელი გაახორკილა და ცოლს უთხრა: „მოემზადე, რომ აი ამ ოთხს კაცს უნდა გაჰყვე ამ ქა-ღალდით (ცალიერი პაკეტი უჩვენა) და იქნება უკან აღარც კი დაბრუნდეთო. აქ-კი ცოლმა ვეღარ შესძლო და გორ-დიშელის ავაზაკობა აღიარა, მკვლელს მკვდარი ერთი კვირა თავისსავე საბძე-ლში შეენახა და მერე ახლო ზვარში გაეთხარა საფლავი და იქ დაეფლა. ტა-ნისამოსი-კი ეზოშივე იპოვა: ვითომ ბოძები ჩაეყარა, რომლის ქვეშაც ერ-თოს ტანისამოსი ჩაეყოლებინა, ყველა ეს ისეთის მოფიქრებით მოეხერხებინა, რომ თუ არ ცოლი ავაზაკისა და ბ-ნ გომელაურის ხერხიანობა, დღესაც ადა-მიანის შვილს არ ეცოდინებოდა სახ-[illegible] ბოლო. ბოქაულმა იპოვა მოკლულის გვამიც, დასვრილი ტანისამოსიც და მრავალი სხვა ავაზაკობა აღმოაჩინა, რომელიც ჩაედინა გაჩნამიანელს შილდა-ში შეფარებულს „გორდიშელს“. გამო-მძიებელიც მოვიდა და ვნახოთ, გამო-ძიება სხვა ახალს რას ამოაჩენს.

ე. ქიღდელი

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

მკითხველებმა უკვე უწყიან, რა ამბავი მოახდინეს სიღნაღის კულ-ტუროსანთ წყალ-კურთხევის დღეს. ამის შესახებ გაზეთ „კავკას“-ში მოთავსებულმა კორესპონდენციამ დიდი ლაპარაკი გამოიწვია და ზოგიერთ ადგილობრივმა რუსულმა გა-ზეთებმა გამოაცხადეს კიდეც, რომ ეგ ამბავი სიმართლეს მოკლე?უ-ლიაო. ეხლა ამის შესახებ გაზ. „კა-ვკასი“ სწერს:

„დღეს ჩვენ შეგვიძლიან ვაუწყოთ მკითხველებს, რომ სასულიერო უწყებას მიწერ-მოწერით მოსვლია ცნობები, რო-მელიც სრულიად ამტკიცებს ჩვენ კორე-სპონდენციას. ამ მიწერ-მოწერაში ნათ-ქვამია, რომ საქმის ყოველივე გარემოება კორესპონდენციაში დაწვრილებით არის გამორკვეული და ნათლად განმარტებუ-ლიო. საერთოდ-კი, როგორც ამავე მი-წერ-მოწერიდგანა სჩანს, მართლ-მადიდე-ბლების მდგომარეობა სხვა სარწმუნოების თავ-გასულ პლუტოკრატიის შორის მე-ტად სამწუხარო და სავალალოა. სომეხ-თა სარწმუნოების ფანატიკოსობამ დიდად თამამად იჩინა თავი ამ ბოლოს დროს, რამდენისამე წლის განმავლობაში, რო-გორც, მაგალითად, სიღნაღის სასაფლა-ოს შესახებ აღძრულის კამათის დროს. უკვე გამოირკვა, რომ [illegible] თვით-მართველობის გამგენი არიან და რომ 6 იანვრის დემონსტრაცია შემთხვევითი მოვლენა კი არ იყო, არამედ წინადვე განზრახული და მომზადებული.

ვიმეორებთ: ეხლა-კი ძნელია შუბის ხალთაში დამალვა და დღითი დღე უფ-რო საჭირო ხდება, რომ სიღნაღში „ჰა-ერი გაწმენდილ“ იქმნას. საკმარისია გა-დაჰხედოს კაცმა ქალაქის თვით-მმართვე-ლობის წარმომადგენელთა სიას, რომე-ლთა შორის მოთავსებულია დემონსტრა-ციის ერთი მეთაურთაგანიც და სხვა ოფიციალურის სიებისაც, რომ დარწმუნ-დეს, რა არის მახლობელი მიზეზი სიღ-ნაღში გამოწვეულ თავ-გასულობისა და სხვათა ეროვნების სიძულვილისა.“

ამავე სიღნაღში მომხდარ ამბის შესახებ ჩვენც მოგვივიდა ჩვენის კორესპონდენტებისაგან რამდენიმე წერილი, რომელშიაც ნათქვამია, რომ „კავკასი“-ს კორესპონდენცია სრულიად მართალია და საქმეთა ვი-თარების უტყუარად აღმნიშვნელიო.

* *

მეტად უცნაური და თავისებური იუბილეი გა?დაუხდია ამას წინად გა-

---

ნი შაჰაბაზ.მის მანკიერების გამო სა-ქართველოს მეფეთა უფლება და მე-ტადრე მეფე ლუარსაბ მეორისა, ფრიად დაკნინდა. ასე რომ ყაენის შემოსევის წლებში (1615—1616) ლუარსაბს აღარ ემორჩილებოდნენ ერისთავნი არაგვისა და ქსნისა, სუ-ლტანი ლორისა, ხოლო პატრონი ცხინვალ-დვალეთისა და თეძმის ხე-ობისა და მოურავი ტფილისისა გი-ორგი სააკაძე თვით ხელმძღვანელი იყო ყაენისა საქართველოზედ ზედ-მოსევისა და გამოლაშქრების დროს.

ეს გიორგი სააკაძე იყო შთამომა-ვალი ლეკთა ჭანკებისა, რომელნიც 767 წელს დაღისტნიდამ გადმოვიდ-ნენ სომხეთს და იქიდგან, სომეხთა ხამეფოს დამხობის შემდეგ, შემოვი-დნენ საქართველოში და დასახლდ-ნენ თეძმის ხეობაში. გიორგი მეფის დროს (1525—1534 წ.) იმათ მიე-ცათ ხარისხი თავადობისა, ხოლო 1622 წელს შაჰაბაზმა დაუმტკიცათ თარხნობაც (იხ. ერეკლე მეორის თავად აზნაურთა სიები ჟურ. „ივე-რიაში“). გიორგი იყო კაცი მხნე, ახოვანი, ძლიერი, უშიში, ხოლო ამასთანავე „ცბიერი, მჩურჩნელი და უნდო“.

აი ეს ძლიერი კაცი განუდგა ლუარსაბ მეფეს და ეახლა საქართვე-ლოს დაუძინებელს მტერს შაჰაბაზს.

„ესე მეც ვიცი იქ (სპარსეთს) წასვლა ვერა ვქმენ კარგის მცნობი-თაო“, ათქმევინებს გიორგი სააკაძეს მისი უსამართლო მეხოტბე იოსებ თბილელი საკაძევე (გვ. 30).

და შემდეგ კიდევ: „თურმე შაჰა-ბაზ ხელმწიფე იყო მისვლისა (ე. ი. სააკაძეს მასთან მისვლის) მდომელი“.

თბილელის ამგვარ მოწმობას ეთანხმებიან სხვა წყარონიც, რომელ-ნიც საქართველოს აოხრების მიზე-ზად ჰხადიან გიორგი სააკაძეს (იხ. ამ კითხვის შესახებ ყველა საბუთები საქართ. ისტ., გვ. 287—315).

შემდეგ საქართველოს აოხრებისა, ლუარსაბ მეფის, ქეთევან დედოფლის და ალექსანდრე და ლევან ბატონი-შვილების დატყვევებისა ყაენი გაემ-გზავრა სპარსეთს და თან წაიყვანა თვისი შემწე გიორგი სააკაძეც.

ისევ იმავ მეხოტბეს თბილელს მივმართოთ, იმ თბილელს, რომელ-საც დამსახურებად მიაჩნია ქვემორე ამის მოთხრობილი ამბები:

„მეც ისევ თან წამიყვანა (საქარ-თველოს აოხრების შემდეგ)... ერთს დღეს ლხინად ჯდა ხელმწიფე (შაჰა-ბაზი)... მიბრძანა: „გამხიარულდი... თეთრს მოგცემ ამდენს, კარამდინ ვერ შესძლო მიტან წაღებად, სხვის წყალობითაც დაგმართო სევდითა კა-რის გაღებადო“. მოატანინა. დააწყეს ტახტის წინ თეთრი გუდები; მიბრ-ძანა. „ადეგ, აიღე, ნუ ხარ მცონა-რად უდები!“ ტახტის წინ მიველ, თეთრს ჰქონდა სულ ახალ ახალ ბუ-დები. წინ დამაჩოქეს, არ ითქმის აწ ტუჟილი და მრუდები... ბევრის აღე-ბას ვეცადე, მით გავიმაგრე ძვალე-ბი: თვითო მხარზედა გარდვიგდე, ერთი თავზედ ვქმენ დებული, თითო ღლიასა შევიგდე, ორი ვქენ ხელკი-დებული, ერთი კბილშია მივიცე,— მით ვიქმენ აზიდებული, ავდეგ, კა-რამდის წავილე, არვისგან არ რიდე-ბული! ბრძანა (შაჰაბაზმა): „ნუ მო-ჰკლავთ ჯაშუშსა, მის კაცსა მიუბა-რეთა“. (გვ. 32—33).

აი ამ „ჯაშუშმა“ ეს რვა გუდა თეთრი (სულ 400 თუმანი) კარამდის მიიტანა, გადასცა იგი თავისს კაცებს და თვითონ ისევ ყაენის გვერდს დაბრძანდა. „გვერდსა დამისვა ხელმ-წიფემ; ბრძანა თუ: „გაიხარეთა!“ (გვ. 33).

და ეს „გმირი(!)“ სააკაძე, შექებუ-ლი კუდააზნაურთა მიერ, ქართველ-თა მესისხლე ყაენის კარზე ჭხარობ-და და არც თუ „ჯაშუშობას“ თაკი-ლობდა მაშინ, როდესაც იქვე, ში-რაზს სტანჯავდნენ მისს ბუნებრივს მეფეს ლუარსაბს, დედოფალს ქეთე-ვანს, მცირე წლოვან ბატონიშვი-ლებს და ასი ათასს, დედა-ბუდიანად აყრილს და სპარსეთში გადასახლე-ბულს, ქართველს, ხოლო აქ, საქა-რთველოში, ამავე დროს ყველგან გაისმოდა გმინვა, ტირილი, ვაება, დრტვინვა, იწოდა სახლი, ინგრეოდა ციხე-კოშკი, ილეწებოდენ ქართვე-ლთა სალოცავები და სიწმინდავენი.

—

შაჰაბაზი შემოვიდა საქართველო-ში 1615 წელს. მას განჯაშივე მი-ეგებნენ: არაგვ-მთიულეთის ერისთა-ვი ნუგზარ, რომლის ასული ცოლად ჰყავდა გიორგი სააკაძეს, ქსნის ერისთავი იესე, ამილახორი ანდუყა-ფარ, ფეშანგი ფალავანდიშვილი და ალათანგი ხერხეულიძე. იქვე ყაენ-თან, როგორც ვთქვით, ყოლაუზად იყო თვით გიორგი სააკაძეც.

მარტო დარჩენილ მეფეებმა (ლუ-არსაბმა და თეიმურაზმა) ბრძოლა ვერ შეუბედეს ყაენს და იმერეთს გადავიდნენ. ყაენმა აოხრა კახეთი და მოტყუებით გადმოიყვანა იმერე-თიდამ ლუარსაბ მეფე და წაიყვანა ისპაანს და უბრძანა გამაჰმადიანებუ-ლიყო. ლუარსაბმა უარ-ჰყო მაჰმადი. ყაენი გაბოროტდა, მეფესთან მყოფ-ნი აზნაურნი და მსახურნი განაბნია, ხოლო მას შეუკრა ხელ-ფეხი და შირაზის ციხეში შეამწყვდია. ამ ცი-ხეში ლუარსაბმა დაჰყო სრული 7 წელიწადი და ამ დროს განმავლო-ბაში დიდი ტანჯვა, წვალება და განსაცდელი დაითმინა და ქრისტია-ნობას-კი არ უღალატა. დღე-ღამ მცველები ეყენა და მოლები, გარნა იგი თავისს ღვთისმშობლის ხატს არ იშორებდა და მარადის მას ევედრე-ბოდა.

ხოლო 1622 წ. 20 მარტს, რო-გორც ამ წერილის სათაურშივე ვთქვით, იგი აწამეს და მოაშთვეს და „გვრგვნ შემოსილი აღვიდა ზეცისა სუ-ფევასა და მასვე ჟამსა გარდამოკდა ზეცით სვეტი ნათლისა: და დაადგრა სახლსა მას, რომელსა შინა მდებარე იყო ღუაწლით შემოსილისა მის მრავალ მოღვაწე გვამი. სასწაულად სიმკნისა და ახოვნებისა მისისა და პატივად ღვაწლთა მოწამისათა. და ესე სვეტი მრავალ ჟამ იხილვებოდა დღე და ღამე. და რომელნიცა ხედვიდეს. იტყვიდეს. დიდ არს ღმერთი ქრისტეანეთა რომლისა-თვს ესე მოიკლა“.

ეს მეფე ლუარსაბი შეირიცხა წმი-დათა შორის და ქართველთა ეკკლე-სიამ მას შეუდგინა სრული სადღე-სასწაულო წირვაცა (იხ. ეკლეს. მუზ. მამათცხოვრება № 170, გვ. 163). ხოლო წმ. გვამი წამებულ მე-ფისა დღესაც სპარსეთშია. იმავე ხელნაწერში (№ 170) არის განგრ-ძობა ლუარსაბის ცხოვრებისა (გვ. 467). ამ წერილში, რომელსაც სამ-წუხაროდ თავი აკლია, სწერია შემ-დეგი ანდერძი:

„ხოლო ნაწილნი ამის მოწამისანი მუ-ნვე მდებარე არიან. აკლდამის სახედ შექმნილსა სახლსა შინა: და ვიდრე დღეინ-დელად დღედმდე ვერვის უკადრებიეს აღე-ბად იგი: მაშინ (ე.ი. შაჰაბაზის დროს) ში-შისათვის სპარსთასა და აწცა (1733 წ.) ჰგიებს მუნვე შეუძრველად და შეურყეველად: ვიდ-რემდე ინებოს თუ ღმერთმან გამოცხა-დებაჲ მისი: და მონიჭებად ჩუენ და საუნჯე იგი დიდძალი მადლთა საღთო-თა მომნიჭებელი“.

ამ ანდერძის ასრულება ძნელი არ არის, თუ მოვინდომეთ...

თანამდებარს წმიდა ძვალნი წმიდა მეფისა მოვასვენოთ და მივაბაროთ წმიდა სამარხავს—მცხეთის სვეტი-ცხოველს, რომელიც არის აკლდამა და საძვალე წმიდა ლუარსაბის მამა-პაპათა.

ხოლო ვიდრე აღვასრულებდეთ ამ წმიდა საქმეს, შევუერთდეთ ჩვენთა მამა-პაპათ და მათთან ერთად წავრს-თქვათ საგალობელი:

წამებისა სისხლითა შეიმკვე შენ ღირსო მეფეო, რამეთუ მადლით მოიღე გვირგვინი და წინაშე ქრისტე შენისა მიხვედ, და რომელნი სახელ-სა შენსა ხადიან ყოველთა ენებათა და ჭირთაგან იკსნებიან; ვითხოვთ შენგან ყოველნი შეწევნასა ჭირთა შინა, რამეთუ დღეს (20 მარტს) შენ მიერ იხარებენ შვილნი ესე ეკ-კლესიისანი და დღესასწაულობენ კსენებასა შენსა და შენგან მიიღებენ მადლსა კურნებათასა სანატრელო ლუარსაბ (№ 170, გვ. 165).

მ. ჯანაშვილი

ზეთ „Obzor“-ს, რომელიც ქალაქ აგრამში იბეჭდება. რედაქციამ იდღესასწაულა თურმე იმის ხსენება, რომ დაარსების დღიდგან რვაასჯერ მთავრობას აღუკრძალავს ამ გაზეთის გამოცემა.

გაზეთი სულ 39 წელიწადია, რაც არსებობს და ამ ხნის განმავლობაში უკვე 800-ჯერ იქმნა აღკრძალული და აღკვეთილი.

მაგრამ გამომცემელი მაინც გულს არ იტეხს და თავისს სიტყვაში, რომლითაც მან 800-ჯერ აღკრძალვის გამო გარდახდილ იუბილეიზე მისალოცად მისულ საზოგადოებას მიჰმართა, სხვათა შორის სთქვა თურმე:

ბატონებო, მე ჯერ კიდევ იმდენად მხნე ვარ, რომ იმედი მაქვს ამ რიცხვს ათასამდი ავიყვანო!..

# უცხოეთი

—

**ჩინეთი და ევროპის სახელმწიფონი.** გაზ. „Times“ დეპეშით ატყობინებენ პეკინიდგან: „10 მარტს, დამე, ცუნგ-ლი-იამენის (ჩინეთის სენატის) წევრნი იმპერატორთან შეიკრიბნენ სათათბიროდ. კრებამ ლი-ხუნგ-ჩანგი და შინგ-ი-ხუანი ამოარჩია რუსეთის წარმომადგენელ პავლოვთან მოსალაპარაკებლად რუსეთის მოთხოვნილებათა შესახებ. კრებამ ლი-ხუნგ ჩანგი და შინგ-ი-ხუანი უფრო იმიტომ ამოარჩია, რომ რუსეთის მთავრობა მათ კარგის თვალით უყურებს და რუსებთან ისინი უფრო დაახლოვებულნი არიან; მაგრამ ამის მიუხედავად, ძნელი მოსალოდნელია, რომ ჩინეთმა სისრულეში მოიყვანოს თავისს განზრახვა და რუსეთს შეაცვლევინოს და დააკლებინოს ის მოთხოვნილებანი, რომელიც ამას წინად წარუდგინა ჩინეთის მთავრობას და რომელიც, სხვათა შორის, რკინის გზის გაყვანასა და ნავთ სადგურების პორტ-არტურისა და ტალიენვანის დათმობას შეეხება“.

— რაც შეეხება საფრანგეთის მოთხოვნილებათ, იგივე გაზეთი იუწყება, რომ ჩინეთს ჯერ ფორმალური პასუხი არ მიუცია საფრანგეთისათვისაო. ჩინეთის მთავრობა ჯერ-ჯერობით იცდის რას იტყვის საფრანგეთი და ამიტომ არც „ჰაო“-ს ამბობს და არც „არა“-საო.

—

**ინგლისი** ლონდონიდგან სწერენ გაზ. „Nord“-ს, რომ ამ ახლო მომავალში გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი ინგლისში აპირობს წასვლასაო. გაზეთის სიტყვით, ვილჰელმი შოტლანდიის წარჩინებულმა კაცებმა მიიპატიჟეს. ჰფიქრობენ, რომ გერმანიის იმპერატორი ამით ისარგებლებს და ინგლისის დედოფალს ინახულებსო. გაზეთები ამ გარემოებას დიდს საპოლიტიკო მნიშვნელობას აძლევენო.

## სასამართლოს მატიანე

აზნ. სამარლანიშვილების საქმე

1897 წ. 27 სექტემბერს, საღამოს 9 საათზედ, გორის მაზრის სოფ. ატოცის მემამულის ნიკოლოოზ სამარლანიშვილის სახლში, რომელიც სცხოვრობდა თავისს შვილებთან ერთად, სახელდობრ ზაქარია, ვასილ და ალექსანდრესთან, მოკლულ იქმნა თავ. დიმიტრი ფალავანდიშვილი და სასიკვდილოთ იქმნა დაჭრილი აზ. ივანე დიდებულიძე.

ამ სახლის დათვალიერებისა და გამოძიების დროს აღმოჩნდა, რომ თავ. ფალავანდიშვილი მომკვდარა სახლში, რადგან ყელის მთავარი ძარღვი ჰქონია გადაჭრილი, და აზ. დიდებულიძე-კი დაუჭრიათ ეზოში. დიდებულიძეს ჭრილობა აღმოაჩნდა თავში და სხეულის სხვა-და-სხვა ნაწილების 30 ადგილას. ჯერ ისევ ცოცხალმა დიდებულიძემ ჩვენების ჩამორთმევის დროს გამომძიებელს უთხრა, რომ ჩვენის ეკკლესიის დღეობას ჩემთან მოვიდა სტუმრად ჩემი სიძე თავ. ფალავანდიშვილი ბუზალაძესთან ერთად. საღამო ჟამს მოვარდა ჩემთან ბუზალაძე და შემატყობინა, რომ თავ. ფალავანდიშვილი ეჩხუბება სამარლანიშვილებსაო. მე მაშინვე გავწიე სამარლანიშვილებისაკენ, გზაში შემხვდა სოფლის დარაჯი ფილიშვილი, რომელმაც მითხრა, რომ სამარლანიშვილიანთას მშვიდობიანობააო. შევედი თუ არა სამარლანიშვილების ეზოში, დავინახე ნიკოლოოზ სამარლანიშვილი და იმისი შვილები ზაქარია, ვასილი და ალექსანდრე ხანჯალ-ამოღებულები იდგნენ. შევეკითხე თუ არა, რად მოგივიდათ ჩხუბი ჩემ სიძესთანა-მეთქი, მაშინვე სამარლანიშვილები ხანჯლებით ჩემსკენ გამოქანდნენ; ვიბრუნე პირი უკან და ეზოს ღობეზედ მინდოდა გადავმხტარიყავი, მაგრამ ტანისამოსით ღობეზედ თავ-დაყირა-კი დავეკიდე. ამ დროს მომცვინდნენ სამარლანიშვილები, ხანჯლები დამიშინეს და შემდეგ ხევში გადამაგდეს, სადაც გრძნობა დავკარგეო. ამ ჩვენების სიმართლე დაამტკიცა სოფლის ღამის დარაჯმა ფილიშვილმაც და ამასთანავე დაუმატა, რომ როდესაც ხმაურობა შემომესმა, მივედი სამარლანიშვილიანთას და ზაქარია და ალექსანდრე სამარლანიშვილებმა მითხრეს, რომ თავ. ფალავანდიშვილს ჩვენი ცხენი უნდოდა მოეპარა და ეხლა ოთახში შევიდაო. ამ დროს მოვიდა დიდებულიძე და ოთხივე სამარლანიშვილნი თავს დაეცნენ დიდებულიძეს. მინდოდა დამეშველებინა, მაგრამ ვასო სამარლანიშვილმა მეც დამჭრა ხანჯლით. ჩხუბის დროს ნიკოლოოზსა და შაქროს ხელში ხანჯლები ეჭირათ და სანდროს კი ჯოხი.

თავ. ფალავანდიშვილისა და ივანე დიდებულიძის მოკვლისა გამო სამართალში მიცემულთ ნიკოლოოზ, ზაქარია, ვასილ და ალექსანდრე სამარლანიშვილებმა თავიანთი თავი დამნაშავედ არ იცნეს და ერთ-ხმივ განაცხადეს, რომ 27 სექტემბერს ღამე კამბეჩები მოგვპარესო. ამ საღამოს ჩვენთან ვახშმობდნენ რაჟდენ და იასონ აბაგაძეები, მამაცაშვილი და წინამძღვრიშვილი და როდესაც ეზოდგან ცხენის ბორკილის ხმა შემოგვესმა, გარეთ გამოვცვივდით და დავინახეთ, რომ ცხენზედ თავ. ფალავანდიშვილი იჯდა. ზაქარია სამარლანიშვილმა ხანჯლით ყელში დასჭრა ფალავანდიშვილი, რომელიც შემდეგ ოთახში შევარდა. ამ დროს ეზოსთან მოიპარა დიდებულიძე და ამოღებულის ხანჯლით შაქრო სამარლანიშვილისაკენ გასწია, რომელმაც თავისს მხრივ იძრო ხანჯალი და დასჭრა დიდებულიძეო. ნიკოლოოზ, ალექსანდრე და ვასილ სამარლანიშვილებს არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ ამ ჩხუბშიო.

ბრალდებულთა ჩვენება არაფრით არ იქმნა დამტკიცებული. მოწმეთა ჩვენებითა და გამოძიებით-კი გამოირკვა, რომ მოკლული ფალავანდიშვილი სამარლანიშვილების ეზოსთან მისულა, რადგან ცხენს დაეძებდა თურმე, და სამარლანიშვილები-კი თავს დასხმიან და დაუწყიათ ჩხუბი. ამ გვარად აზ. ნიკოლოოზ ესტატეს ძე სამარლანიშვილს 72 წლისას, და ამის შვილებს ზაქარიას, 27 წლისას, ვასილს, 19 წლისას, და ალექსანდრეს, 31 წლისას, ის ბრალი ედება, რომ თავ. ფალავანდიშვილისა და აზ. ივანე დიდებულიძის მოკვლა განიზრახეს და ამიტომ დასჭრეს პირველი ყელში, ხოლო მეორე თავსა და სხვა ადგილებში, რისაგანაც თავ. ფალავანდიშვილი იმავე დღეს გარდაიცვალა და დიდებულიძე-კი იმავე წლის 4 ოქტომბერს.

15 მარტს ყოველივე ეს გამოირკვა და დამტკიცდა სასამართლოში. ტფილისის ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო სამარლანიშვილები და მიუსაჯა ზაქარია სამარლანიშვილს კატორგა, დანარჩენ ბრალდებულთ-კი ციმბირში გარდასახლება.

## ნაკვესი

—

იმპერატორმა ნიკოლოოზ პავლეს ძემ ჰკითხა სათავად აზნაურო რაზმის კადეტს:

— რა გვარისა ხარ?

— რომანოვი გახლავართ, თქვენო უდიდებულესობავ.

— ნათესავი ხარ ჩემი? — შეეკითხა ხელმწიფე.

— დიაღ, თქვენო უდიდებულესობავ!

— რა მხრივ მომხვდები ნათესავად?

— თქვენი უდიდებულესობა მამაა მთელის რუსეთისა და მე შვილი. — უპასუხა სიტყვა-მოსწრებულმა ჭაბუკმა.

ხელმწიფემ მოწყალედ გადაჰკოცნა ასეთის მოსწრებულის პასუხისათვის.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

17 მარტი

(მიღებულია ფოსტით ხარკოვში 18 მარტს, დილის 11 საათზედ, გადაეცა აგენტს 19 მარტს).

**პეტერბურგი.** მთავრობის უწყება. 15 მარტს პეკინში ხელი მოაწერეს რუსეთისა და ჩინეთის რწმუნებულებმა ხელშეკრულობას, რომლის ძალითაც რუსეთს დაეთმო 25 წლის ვადით, და შემდეგაც შეიძლება ეს ვადა განაგრძონ, ნავთ სადგურები არტურ და ტალიენვან თავისის მიდამოებით და ზღვით. აგრეთვე რუსეთს უფლება მიეცა შეუერთოს ეს ადგილები ციმბირის რკინის გზას.

ეს ხელ-შეკრულობა შედეგია კეთილ-განწყობილებისა ორივე დიდ სახელმწიფოთა, რომელთაც ჰსურთ დაიცვან მშვიდობიანობა ქვეშევრდომთ სასარგებლოდ.

ამ ნავთსადგურების დათმობა ამტკიცებს, რომ ჩინეთის მთავრობამ კარგად დააფასა რუსეთსა და ჩინეთს შორის მომხდარი ხელ-შეკრულობა.

ეს ხელ-შეკრულობა სრულებით არ ეხება ჩინეთის უფლებას, ხოლო რუსეთისათვის-კი, როგორც მეზობელ სახელმწიფოსთვის, დიდად სასარგებლოა და ამასთანავე არ არის წინააღმდეგი უცხოელ სახელმწიფოთა ინტერესებისა. პირიქით, ამ ხელ შეკრულობის გამო მთელის ქვეყნის სახელმწიფოთ უფლება ექმნებათ სულ ცოტა ხნის შემდეგ ისარგებლონ აქამდე ხელ-შეუხებელ ყვითელ ზღვის ბაიროს მდებარე ადგილით. ხოლო ყველა უცხოელ სახელმწიფოთა ფლოტისათვის ტალიენვანის ნავთ-სადგურის გზის გახსნა მოუმატებს დიდ ოკეანეს ახალს დიდს ცენტრს ვაჭრობასა და მრეწველობას და ციმბირის რკინის გზის წყალობით შეაერთებს ორს დიდს ხმელეთს ძველის ქვეყნისას.

ამ გვარად, პეკინში მოწერილს ხელ-შეკრულობას დიდი საისტორიო მნიშვნელობა აქვს რუსეთისათვის და ეს ამბავი სასიამოვნოდ უნდა მიაჩნდეს ყველას, ვისთვისაც-კი ძვირფასია სიკეთე მშვიდობიანობისა და სხვათა ერთა შორის საურთიერთო კავშირისა.

თარგმანი შინაგან საქმეთა მინისტრის დეპეშისა, რომელიც დაეგზავნა რუსეთის წარმომადგენელთ საზღვარ-გარედ:

15 მარტს მოწერილ ხელ-შეკრულობის ძალით ნავთ-სადგურები არტური და ტალიენვანი და აგრეთვე მიდამოები დაეთმო რუსეთს.

თქვენ დაგევალათ შეატყობინოთ ყოველივე ეს იმ სახელმწიფოს მთავრობას, რომელთანაც ხართ ჩვენ მიერ დანიშნულნი და ამასთანავე დასძინოთ, რომ ზემოხსენებულ ნავთსადგურებსა და ადგილებს დაუყოვნებლივ დაიჭერს ჯარი მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის, ჩვენის უავგუსტოესის მონარქისა და რომ ამ ადგილებში აღმართული იქმნება რუსეთის დროშა ჩინეთის დროშასთან ერთად.

თქვენ შეგიძლიანთ შეატყობინოთ გარეშე საქმეთა სამინისტროს, რომ ტალიენვანის ნავთ სადგური თავისუფალი იქმნება უცხოელთა ვაჭრობისათვის და ყველა ჩვენს მეგობარ სახელმწიფოს იქ მეგობრულად და სტუმრის მოყვარეობით დავუხვდებით.

**პარიჟი.** რუსეთ-ჩინეთის ხელშეკრულობის ამბავმა რომელიც გუშინ იქმნა მიღებული, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ოფიციალურ წრეებში ეს ამბავი დიდად მნიშვნელოვან ამბად მიაჩნიათ, რომელიც აღბეჭდილი იქმნება ვითარცა შესანიშნავი ამბავი იმპერატორის ნიკოლოოზ II-ის ხელმწიფობისა.

**ბერლინი.** იმპერატორმა ინახულა რუსეთის ელჩი ოსტენ-საკენი და ერთს საათს დარჩა იმასთან.

**რეიხსტაგი.** ცოტაოდენის კამათობის შემდეგ შეწყნარებულ იქმნა კანონ-პროექტი ფლოტის შესახებ.

**ვაშინგტონი.** ოფიციალურ ცნობებიდგან სჩანს, რომ საგამომძიებლო კომისიამ აღიარა, რომ ჯერ გემი გარედგან იქმნა აფეთქებული და ამის გამო შემდეგ თოფის წამალი აფეთქდა. ვინ არის დამნაშავე — ამის შეტყობა შეუძლებელია.

**ლონდონი.** ლორდ სოლსბერი საფრანგეთის სამხრეთ მხარეს წავიდა, თან მკურნალი ახლავს.

18 მარტი.

**მოსკოვი.** გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობათა კრებაზედ, რომელიც 26 მარტს მოხდება, სხვათა შორის, განხილული იქმნება საგანი იმის შესახებ, რომ მოსკოვში დაარსებულ იქმნას სრულიად რუსეთის სააქციონერო ბანკი წვრილის კრედიტისათვის.

მოსკოვში მალე დაარსებულ იქმნება საამხანაგო-საშინაო მრეწველობის მაღაზია „კავშირი“. ეს მაღაზია საშუალოა ადგილად იქმნება, სადაც გაიყიდება შინა მრეწველობის ყოველ გვარი საქონელი.

**ქრისტიანია.** შვეციისა და ნორვეგიის ელჩი ნიუ-იორკში ვოქსენი სადღაც გაჰქრა. ჰფიქრობენ, რომ ამის მიზეზი დიდის ფულის გაფლანგვაა. ვაშინგტონში მყოფ ელჩს ბრძანება მოუვიდა, რომ გამოძიება მოახდინეო. ამერიკის მთავრობას მიჰმართეს თხოვნით ვოქსენი დააპატიმრეთო.

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუცხადებთ ჩემის მოსწავლეებითურთ კნეინა ეკატერინე გიორგის ასულს ერისთავისას, რომელმაც ჩემდამო რწმუნებულ სკოლის მოსწავლეებს დაურიგა 38 ცალი წიგნი, „ასული ლევან მეფისა“, მოთხრ. ალ. მირიანაშვილისა, და ქ-ნ ოლგა კონსტანტინეს ასულს გუბელაძისას, რომელიც არ ივიწყებს ჩვენს სკოლას და, როგორც წარსულს წლებში, წრეულაც უგზავნის საყმაწვილო ჟურნალს „ჯეჯილს“.

მეჯვრისხევის სკოლის მასწავლებელი თეოფ. კანდელაკი.


# განცხადებანი

მაღაზია

**ნ. ა. საბაშვილისა**

ამით უცხადებს პატივცემულს ბათუმის საზოგადოებას, რომ ვინაიდგან ამ მაღაზიაში დარჩენილია დიდ-ძალი საქონელი წინა წლებისა, ბევრიც ცალობით არის დარჩენილი ისეთი საქონელი, რომელიც იყიდება დუქინობით და იმის გამო, რომ ზოგიერთ საქონლით ვაჭრობას მაღაზია სპობს, 15 ამა მარტიდგან **სამის კვირის განმავლობაში** დანიშნულია

**დიდი იაფობა**

ჩვეულებრივ ფასიდგან 40%—60% დაკლებით.

შევაჭრება არ შეიძლება.

რადგანაც ჭურჭლის მაღაზიაში სივიწროისა გამო გაყიდვა საქონლისა მოუხერხებელია, ამიტომ იაფობა გაიმართება სხვა მაღაზიაში ოკლობეის ქუჩაზედ, ჩემის ავეჯეულობის მაღაზიის გვერდით. (10—6.—2).


Дозволено цензурою, Тифлисъ 19-го Марта 1898 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**